


# ნოვნი



გაზეთი, კრახელის ქ. კრახელის ქ.

№ 16  
1938 წ.  
ფასი 60 კ.

ნოვნი



საკოლგეურნეო ვაჭრობა და ქარაპევა

ნახ. დონის და ან. კანდელაკისა.

— შაი დედასა. აფსუსი არ არის, ამისთანა საქმეები ხდებოდა, კარაპევა კი განზე დგებოდა?!

19/7-8 49

კაბინეტში ფართოდ იჯდა ტრიფონი. ჩაის შეექცეოდა, მაგიდაზე წიგნებს ასწორებდა. ხანგამოშვებით ბლოკნოტზე ერთ ორ სიტყვას დასწერდა, წაშლიდა. ისევ დასწერდა.

კარებიდან ხშირად ესმოდა დარაჯის ყვირილი:

„ხომ გესმით, არ შეიძლება, დღეს ვერავის მივიღებო“, ასე მიბრძანა მორჩა და გათავდა!—ტრიფონი უღარდელად უსმენდა ამ ყვირილს, რომელსაც დიდი ხანია ყური შეაჩვია და ახლა ეს აუცილებელ „მუსიკად“ მიაჩნდა.

აზმორებდა, ამთქნარებდა, ნერვებს არ იშლიდა.

როგორც იყო ვიღაც გათავებულად გამოექცა დარაჯს და ტრიფონთან შევიდა.

კაცნი არა ხართ? რას შერებით ხალხნო, რომ ჩაგვიკეტით მზეთ უნახავი ხომ არ არის?—იძახდა ის, როცა ტრიფონთან ახლოს მივიდა ძლივს ამოისუნთქა,—რასა გავს ტრიფონ! რატომ არ სცხვენია ამ დარაჯს შენს სახეს რომ არ გვიჩვენებს?

ტრიფონმა კვლავ უღარდელად გადახედა შემოსულს და ასე ანუგეშა:

— რა უყოთ შეგობარო, დარაჯსაც თავისი კაბრიზები აქვს. ისიც კაცია და თავის უფლებებს იყენებს. დაწყნარდით, გეთაყვა! ახლა ეს გვითხარით რა საქმეზე შეწუხებულხართ, ნერვებს რათ იშლით?

— ნერვები კი არა, თავიც ოხრად დარჩება ადამიანს კაცს ამ ლაბირინტში. ყველაფერი, ყველაფერია, მაგრამ ის მაინც გვითხარით ამხანაგო ტრიფონ, ამ გაგანია სიტყვში ქურქებს რომ გვიგზავნით, არქტიკაში ხომ არ გვაგზავნით შე კაცო?

— არქტიკაში?...მრავალმეტყველად იკითხა ტრიფონმა და თვითონ განაგრძო—განა არქტიკაში თქვენზე ნაკლები ბიჭები მიდიან თუ? ეს პოლიტიკური შეცდომაა ამხანაგო და კიდევ თუ ასეთი რამ წამოგცდათ, თქვენს საქმეს მეც ველარ ვუშველი, რავე შეკაცო, ქურქი საქონელი არ არის თუ? ზამთარი ხომ მოვა, შეინახეთ და მაშინ ჩაიცვით:

ჯერ რადროს ზამთარია შე კაცო, ზამთარში ტილოებსა და თეთრ ქოლგებს გვიგზავნით და ქურქებს ზაფხულში? ვის გაუგონია ასეთი ამბავი?

ეს ჩვენ გავგიგონია ამხანაგო.—კვლავინდებური სიღინჯით მიუგო ტრიფონმა—მაშ ის უკეთესი იქნება აღარც საზამთრო გამოვაგზავნოთ და არც საზაფხულო? შე კაცო ჩვენ გამოცდილებით ვმუშაობთ. ზამთარში, რომ გამოვსწერთ, ზაფხულში მიიღებთ, ხოლო ზაფხულში თუ გამოვსწერთ, ზამთარში მიიღებთ. გამოწერას სწორად ვაწარმოებთ და თუ ვერ იღებთ, ეს ისევ თქვენი ბრალია. ჰო და ნერვებს ნუ იშლით, შეგობარო! თქვენც გამოცდილებით უნდა იცხოვროთ: ზაფხულობით შეიძინეთ ზამთრისათვის საჭირო ნივთები, ხოლო ზამთრობით საზაფხულო და ყველაფერი სწორად იქნება.

— კი მაგრამ არ შეიძლება ისე მოაწყოთ, რომ თქვენ თითონ ისარგებლოთ ამ გამოცდილებით და „გამოწერის“ წესი შეაბრუნოთ?

— ვინა ხართ თქვენ აგრე, რომ მსჯელობთ? ვინ მოგცათ თქვენ წესის შებრუნების უფლება!—უკვე გულმოსულად მიუგო ტრიფონმა შემოსულს—ქალაქში ყველაფერი სწორად უნდა იწერებოდეს! მორჩა და გათავდა! რა ჩენი საქმეა როდის მიიღეთ საზამთრო ქურქი. ესეც რომ არ იყოს, თქვენ გეშლებათ ამხანაგო: ქურქი სწორედ ზაფხულობით სჭირდება ხალხს, როცა მიხდვრად არიან გასულნი. გაწვებით მინდორში და გვერდი არ გეტკინებათ.

— გვერდები კი ჩაგვცინდათ თქვენ!—მაიძახა მოთმინებისაგან გამოსულმა მოკამათემ,—განა თქვენისთანა ბრიყვები მოუვლის საბჭოთა ვაჭრობის საქმეს?—დაიძახა მოსულმა და გარეთ გაფარდა. ვინაიდან კარი მოულოდნელად გაიღო, დარაჯმა ვერცკი მოასწრო მიკეტვა, რომ ვიღაც მეორე შევარდა შიგ და კარიც მოიხურა. დარაჯმა გაფაციცებით შეაღო კარი, ხალათის კალთაში ეტაკა გათავებულად

მომსვლელს და გარეთ მიათრევდა, მაგრამ მომსვლელი მაგარ კუნთებიანი ვაჟკაცი აღმოჩნდა, ჰკრა დარაჯს ხელი და გარედ გაავლო.

— ბუნტია მოქალაქე?—ჩაერია საქმეში ტრიფონი და როგორც იყო ჩაის სმა შეაჩერა—რაკი ასეთი ვაჟკაცი ყოფილხართ, გვიამბეთ რა გნებავთ?

— რაღა რა მნებავს, ამხანაგო ტრიფონ, აქ შემოსვლაზე გავთავი კაცი და ავია!—მიუგო მომსვლელმა და ცხვირიდან წკანწკარათ გადმოღვრილი ოფლი მოიწმინდა.

— ჰო, ეგ არაფერი! რა გნებავთ?

— რაღა რა მნებავს, ამხანაგო ტრიფონ, ამისთანა გავიწმინდა? შე კაცო ბორჯომიდან ჩვენ მთელს საბჭოთა კავშირში და საზღვარ გარეთაც მილიონობით ვგზავნით ბორჯომის წყალს და ჩვენ რაღად გვინდოდა ბორჯომის წყალი ბორჯომში, რომ გამოგვიგზავნეთ?

— ბორჯომის წყალი ბორჯომში? იკითხა ტრიფონმა ოღნავ გაკვირვებით, მაგრამ ჩქარა ისევ განაგრძო—აღბათ გეგმაში აგრე სწერია და ამიტომ რას იზამთ, გეგმას ვერ გაექცევით.


— რავე კაცო, მერე იმ გეგმის შემდგენელიც ხომ კაცია! ის ველარ ვაიგო, რომ ასეთი სულელური გეგმების შედგენა არ შეიძლება?

— ლანძღვა რა შუაშია, მოქალაქე!—წყენით თქვა ტრიფონმა—გეგმა ისეთი საქმეა, რომ შენისთანა ბიჭები მას ვერაფერს ვერ გაუგებს. ვინ იცის გეგმა რას ითვალისწინებს!

— მერე, შე კაცო, გეგმა ხალხისათვის არსებობს, თუ ხალხი გემისათვის? ვინ შეადგინა ეს ბრძნული გეგმა?

— გეგმა ჩვენ შევადგინეთ, მოქალაქე, მაგრამ, ვიმეორებთ ლანძღვა რა შუაშია აქ?

— რავე, შე კაცო, სულელური ვსთქვი და გეწყინათ, ბრძნულს ვამბობ და გული მოგდით. ყველაფერი, ყველაფერია, მაგრამ დაგვი-



ჯერეთ, ბატონო არ გვინდა თბილისიდან ბორჯომის წყალს, რომ გვიგზავნით!

— მოიცათ, მოიცათ მოქალაქე!—ხელის ფათურით მიუგო ტრიფონმა,—რაკი გეგმაში აგრე სწერია, შეცდომით არის თუ შეუცდომლად, ნებითა თუ უნებლიეთ, ახლა მისი გადაკეთება არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები. ამ წლის ბოლომდე კიდევ უნდა განაგრძოთ თბილისიდან ბორჯომის წყლის მიღება, ხოლო მომავალი წლის გეგმის შედგენის დროს უნდა იშუამდგომლოთ, რომ შეგიწყვიტოთ.

— მაშასადამე უნდა განვაგრძოთ მიღება არა?

# იგავი ქოვაკვა

იყო ერთი გაიძვერა ქოვაკი და ყბედი ძაღლი, წუწკი, ხარბი, მლიქნელი და წამგლეჯელი მამაძაღლი.

თავისას არ სჯერდებოდა და პრაწავდა სხვისკენ თვალს ღრინავდა და დაეძებდა არ არსებულ თავის ვალებს.

სისხამ დილით ერთ კაცს სახლში მიუხტა და შეუღრინა: — ჩემი არის ეს სადგომი დამიცალე ჩქარა ბინა.

თუ დაცლილი ხვალდილისთვის არ დამიხვდა მე ეს მხარე მეგობრების დახმარებით გამოგადებთ ძალით გარეთ; —

სალამო ხანს იმ ქოვაკმა შემოკრიბა მეგობრები, უთხრა: — ძმებო. მსოფს ავბარგო ამ მხარიდან ჩვენი მტრები.

ლამით, ჩუმად თავს დავესხათ გავნაწილდეთ ხერხიანად. ერთი ძალით დავეკავროთ მტერი მოვსპოთ ჯესიანად.

ერთ საღამოს, როცა იდგა მომხიბლველი ცა ზაფხულის, ქოვაკებმა სისრულეში მოიყვანეს განზრახული.

თავს დაესხენ იმ მართალ კაცს შეუტიეს, ატყდა ყეფა, მსუნავ ძაღლებს, აღარ შერჩათ ჩაუმტრევეი მეკრდი, კეფა.

კაცმა კეტი იმ წუწკ ქოვაკს ისე მაგრად დაჰკრა თავში რომ ქოვაკი დამტრეული გადიჩეხა უცებ ხრამში.

ეს იგავი. ხასანის ტბის ცხარე ბრძოლებს მოგვაგონებს; დე, იცოდნენ ქოვაკებმა რომ ვერავინ დავვიმონებს.

ნუკარი.

ნახ. შიხ. თთაროვისა.



მოუსკანარი ბინა

— დიხა! — მოკლედ, ხმის დადაბლებით, მაგრამ ცივად მიუგო ტრიფონმა და გაცივებული ჩაი მოხვრიბა.

— გამიშვით აქედან! — დაიძახა მომსვლელმა და გასასვლელ კარებს მივარდა, რომელიც დარაჯს ახლა მაგრად ჩაეკეტა, გამიშვით არ მინდა არაფერი! ბორჯომის წყალი კიარა, თუნდაც ნაცარი გამოგზავნეთ, მხოლოდ გამიშვით!

— კარგახნის ბრახაბრუხის შემდეგ გაიღო კარები და უფრო გაოფლიანებული მომსვლელი გარეთ გაიჭრა.

ტრიფონმა დარაჯს გამოუძახა და ზეზე წამოდგა.

— დღეს მეტს ვეღარ მივიღებ, ახლა მივდივარ და აქ კაცი არ შემოუშვა, იცოდე!

— მესმის ბატონო! — იყო პასუხი. ამ დროს იდროვა ტრიფონის მდივანმა და შიგ შემოვარდა. ხელში რაღაც დალუქული კონვერტი ეჭირა. რომელზედაც ეწერა: „საიდუმლო“...

ტრიფონმა დალუქულ კონვერტს თვალი რომ შეასწრო ფერი ეცვალა, ხელის კანკალით გამოართვა კონვერტი, თითონ ვახია და შიგნიდან ძლივს ამოგლიჯა ქალაღდის მცირე ნაჭერი, სადაც ტრიფონის გულის გასახეთქად შემდეგი ეწერა: „ტრიფონ გვიზაძე მოიხსნას, როგორც გაუსწორებელი ბიუროკრატი“.

ტრიფონს ხელიდან გაუვარდა ქალაღდის ეს მცირე ნაჭერი და სავარძელში მკედრის ფერით ჩავარდა. მხოლოდ ეს და აღმოხდა ტრიფონს: „არავის ვლტებულობ“.

მდივანს შეეშინდა ტრიფონმა სული აქ არ დალიოსო და წყალი შეასხურა. ტრიფონმაც გაახილა მინაბული თვალეები და სულის მაგიერ წყალი დაღია.

ზინთიხი



ყვავების არშემდგარი კონფერენცია.

## შიუჩაჩის, ლუჩესა და პანე ბეკის ნადირობა

ერთ დღეს, მიუხედავად ერმანეთს შორის არსებულ წინააღმდეგობათა, დროებით მაინც დამეგობრდნენ ფიურერი, ლუჩე და პანე ბეკი რაკი ზოგ რამეზედ წინასწარ შეთანხმდნენ. წავიდნენ სანადიროდ. მონადირეს მგზობელი მხარეები... პირველ რიგში ავსტრია, ნაწილი ესპანეთის და ბოლოს მიადგნენ ჩეხოსლოვაკიასა და ლიტვას.

რაკი ფიურერს გაღვიძებული შადა ქონდა, ნადირობის დასრულებას აღარ მოუცადა და ნადავლის წინასწარ განაწილება მოისურვა... ამ სურვილს არც ლუჩე და არც პანე ბეკი ეურჩებოდნენ და რაკი სამთავეს სურვილი გაყოფაზე მიდგა—ფიურერმა ნადავლის გაყოფა ისევ ლუჩეს მიანდო.

ასეთი ნდობით გახარებული ლუჩე წამოდგა, მხრები გაისწორა და თავისი პროექტი წარმოადგინა:

— რაკი ნადავლს ეხლავე ვყოფთ ბატონებო, ჩემი სინდისი მიკარნახებს და მე ასე ვანაწილებ: ესპანეთი მე, ავსტრია და ჩეხოსლოვაკია ბატონ ფიურერს, ხოლო ლიტვა ჩვენს უნტროს ძმას, პანე ბეკს განეკუთვნოს.

ფიურერი განრისხდა, სახეში მუშტი შემოკრა ლუჩეს და თვალე-

ბი გადმოაკაკლია. საწყალი ლუჩე! ეხლა მიხვდა, რომ ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც საიდუმლო ვეგვებში იყო გათვალისწინებული. მაგრამ რა უნდა ექნა. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ფიურერის სილაც სათნოიანად შეიფერა.

ლუჩეზე ოდნავ უკმაყოფილო ფიურერი პანე ბეკს მიუბრუნდა და ნადავლის სამართლიანი გაყოფა უბრძანა. პანე ბეკი უმაღ ზეზე წამოხტა. წელში მოხრილი წარსდგა ფიურერის წინაშე და ასე მოახსენა.

— ბატონებო, თუ ნადავლის სინდისიერი გაყოფაა, რატომ უნდა, აქ მხოლოდ წესიერებითა და სამართალით უნდა ვინელმძღვანელოთ, ამიტომ მე, მიუდგომელი ვიქნები და ნურავის ეწყინება ჩემი განაწილება. მე ვიწყებ ბატონებო, რალა თქმა უნდა, ავსტრია ეკუთნის ფიურერს, ესპანეთი ფიურერს, ჩეხოსლოვაკია ფიურერს და ლიტვაც ჩემის აზრით უბრიანია ფიურერისათვის.

— კი, მაგრამ ეს მითხარით პანე ბეკ, ვინ გასწავლა ასეთი წესიერი და სამართლიანი გაყოფა?—შეეკითხა ფიურერი.

— ლუჩეს გადმოკაკლულმა თვალემა—იყო უიმედობით სავსე პასუხი პანე ბეკისა.

იონჯა.

# თორე ვიცი საპოსტამე

ამბავი დაიწყო ჩემი ბინის გაქურდვიდან. მომპარეს კოსტუმი და ოჯახის მორიგ თათბირზე დაისვა საკითხი ახალი კოსტუმის შედენის შესახებ.

— რახან ყიდვა აუცილებელია, ბარემ უნივერსალში იყიდე— მომცა სადირექტივო მითითება ცოლმა.

— კი მაგრამ ჩემი ზომისას ვიშოვი?

— რა ყარამანი შენ მყავხარ, რომ შენი ზომისა არ იშოვებოდეს?— ჩიკორა კაცი ხარ, შეიძლება მოზარდის კოსტუმიც მოგერგოს, მე თვითონ წაგყვები და ავარჩევინებ.

მეორე დღეს გამოვეწყვე ამხანაგის ახალ კოსტუმში და უნივერსალს მივადექით:

- რას ინებებთ?— თავაზიანად შეგვეკითხა გამყიდველი.
- კოსტუმი გვინდა ავარჩიოთ.
- როგორი იყოს, ზამთრის, ზაფხულის— თუ დემისეზონი?
- ისეთი, აი შევიოტისა იყოს
- რა ფერი?
- ლურჯი, ან ყავისფერი.
- ზომა?
- ასე ორმოცდაათობნეტი იყოს.
- სარჩული რისა ჰქონდეს, სატინისა თუ?
- იყოს სატინისა.
- მაინც რა ფასონის გნებავთ. ჩარლსტონი იყოს, თუ პოლუ-

ჩარლსტონი?

- პოლუჩარლსტონი აჯობებს.
- „აღნაბორტნი“ თუ „დეუხბორტნი“?
- ვნახოთ ორივე.

აქ გამყიდველი ცოტაოდნად ჩაფიქრდა, პაუზა გააკეთა, შემდეგ ამოიხარა და ცივად გადმოისროლა:

- არ არის „პოლუჩარლსტონი“.
- მაშ ჩარლსტონი იყოს.
- არც ლურჯი ჩარლსტონია.
- ყავისფერი გვიჩვენეთ.
- არც ყავისფერია
- მაშ სხვა ფერი იყოს.
- სხვა ფერი სულ არა გვაქვს.
- შევიოტი ნუ იქნება, სხვა მატერია იყოს.
- სხვა მატერიის კოსტუმები გათავდა, თორემ მოგართმევ-

დით.

— აბა მაშ რაღას გვკითხავდით ასე დაწვრილებით? უსაყვედურა ჩემმა ცოლმა.

— რატომ, სასიამოვნოა ასეთი გემოვნების მყიდველთან საუბარი. მაგას გარდა, აქ ზრდილობის საკითხია: ჩვენ მოვალე ვართ თავაზიანად მოვეუსმინოთ მყიდველს და ამომწურავი პასუხიც გავცეთ.

ასეთი ამომწურავი პასუხით გამოვედით უნივერსალიდან.

ბევრი ფიქრის შემდეგ ბოლოს ერთ შესანიშნავ იდეას მივაგენით.

— არა რომ დაგაბნია, რომ „გლავშერსტი“ ვერ გაიხსენე?— მისაყვედურა ცოლმა, — „გლავშერსტის“ მაღაზიაში იყიდე მატერია და შეაკერინე შენს სურვილზე.

მართლაც და რამ დამაბნია? რუსთაველის თეატრის გვერდით შესანიშნავი მაღაზია— აქვს „გლავშერსტის“ გახსნილი. გავივლით, საუკეთესო ქსოვილებით სავსე ვიტრინები შემოგანათებთ, დადგმული მანეკენები გიწვდიან შევიოტს. შალს, კოვერკოტს, ქიშმიორს, გაპატიუებთან შიგნით გთხოვენ.

— შეიძინეთ მოქალაქეობა. შეიკერეთ კოხტა კოსტუმები.

მეორე დღეს გავჩნდი ამ მაღაზიის კარებთან რაღაც უცნაური ამბავი დამხვდა: კარები დაკეტილი, კარებთან მილიციელი, კარებს შიგნით კი— მაღაზიაში აუარებელი ხალხი.

- არ შეიძლება მოქალაქე!— მომპართა მილიციელმა.
- რა არ შეიძლება?
- მაღაზიაში კარებიდან შესვლა არ შეიძლება.
- მაშ საიდან შევიდა ის ხალხი?
- საიდან და რუსთაველის თეატრის უკანა მხრიდან.
- როგორ, განასათეატრო ხელოვნების შესწავლას საჭირო ამ მაღაზიაში შესასვლელად? ხუმრობით მიუხედავად.

— ეს მე არ მეხება მოქალაქე.

მილიციელის „განმარტების“ შემდეგ ჩავდექი რიგში, რუსთაველის თეატრის უკანა მხრიდან— (ძნელადს ქუჩიდან) იქ ბევრი იყვნენ ჩემსავით ლამაზი კოსტუმის შეკერვის მსურველნი.

პატარა ხნის შემდეგ რიგში მდგომნი ააფორიანა რამოდენიმე მოქალაქის ყვირილმა და ჯიკაობამ.

— გაიწით რაღა,— ყვიროდა ერთი,— გაიწით, აქ ჩემსგნით დაზანიტებული ადგილია?..

— შენი საიდანაა?.. აქ ჩემი რიგია.

— ახარ, პაკარაკობას ნუ დაიწყებ, მე ოჩერედები არ ვიცი, მე უოჩერედოთ დავიბადე ამ ნუგბარ ქვეყანაზედა.

ამაზე იქ მდგომნი იცინიან. მისი დამქაშები კი— აქეზებენ.

— აფერუმ ქიქოს. აფერუმ. ერთი შენებურათ ვაწურე. ქიქოსამაც ვაწურა მთელი ჯგუფი— ზოგს ბეჭი ჰკრა, ზოგს იდაყვი და წინა რიგებში მოექცა.

— არა, რა მაზალოა და. ჩემისთანა „რაბოჩ“ ხალხს წინ არ უშვებენ, სულ თითონ უნდათ ჩაიციონ, თოღ ერთი მოდნი კასტუმი მეც ჩავიციო რაღა!— ყვიროდა ქიქოსა.

მართალია უხეზად იქცევა, მაგრამ სწორია ეს კაცი,— ვფიქრობდი მე,— ცხოვრება შეძლებული და საამურია, ყველას გემოვნება განუფითარდა. დაე ჩაიცივას ახალი და „მოდნი“ კოსტუმი.

— ქიქოს ფერთზე, შლაპკები დაუნგრე შენებურათა, — აქეზებდნენ დამქაშები და ქიქოსაც „უნგრედა შლაპკებს“, ესე იგი გვაწვებოდა, ზოგს მუჯღუგუნს ჰკრავდა, ზოგს მხრებზე ახტებოდა, ზოგს ქუდს უტყულებდა, როგორც იტყვიან „ჰანგლობდა“.

იმ დღეს რიგში მდგომამ ფუქად ჩამიარა, რადგან ბევრი ურთგოდ შევიდნენ მაღაზიაში ქიქოსამ კი ისე მოახერხა, რომ მაინც პირველი შედგრა. რიგის ნახევარი რომ შევიდა, გამოგვიცხადეს:

— დღეს ნორმა გათავდა. ხეალ ახალი საქონელი იქნებაო. ხეალის ფიქრში გართულმა საბურთალოს ბაზრისკენ— გავსწიე. იქ თერძები არიან— ათასი რამ იყიდება, ათასნაირი ხალხის ნახვა შეიძლება. დავდივარ და ვათვალეირებ.

— ქიქოს, გიშოვია?— მომესმა ზურგს უკან შეკითხვა.

— მიშოვია...

— რა ღირს...

მივიხედე, ქიქოსა იღლიაში— ამოჩრილ საკოსტუმე მატერიით, რომელიც მან დღეს „გლავშერსტის“ მაღაზიაში შეიძინა, კერძო თერძთან შეუხვია.

— მშვენიერია, სასიამოვნოა, — გავიფიქრე მე, — კაცს გემოვნება განვითარებია, ახალი, მოდაზე შეკერილი კოსტუმის შეკერვა გადაუწყვეტია, მაგრამ ამ კერძო თერძთან რომ მოსულა, ხომ ძვირად დაუჯდება შეკერვა?

მაგრამ ეს ფიქრი კვლავ თერძის ხმამ შემაწყვეტინა:

— ქიქოს, ძვირს ნუ მიფასებ...

უცნაურია, ქიქოსა უნდა უფასებდეს თუ თერძი?..

მეორე დღესაც თითქმის იგივე განმეორდა: ქიქოსა კვლავ წინ გასწრებას ახერხებდა, საკოსტუმე ნაჭერს ყიდულობდა მე კი— კვლავ ხელცარიელი ვრჩებოდი.

მესამე დღეს „ამ ნუგბარ ქვეყანაზე უოჩერედოთ დაბადებულნი“ ქიქოსა აღარ გამოჩენილა.

— გახსოვთ გუშინ აქ რომ ქიქოსა ჰანგლობდა?— გვაცნობეს რიგში მდგომთ.

— გვახსოვს, მერე რა?

— თურმე სპეკულანტი ყოფილა, გაუგავს.


— გაუგავს?

— გაუგავს და მიაბრძანეს კიდევ.

ამ ამბავმა ჯერ გამაკვირვა, შემდეგ ისე აღმაფრთოვანა, რომ აღარც კი მახსოვს როგორ შეველ მაღაზიაში, და საფრთოდ როგორ შევიძინე საკოსტუმე.




ლუდსაქანი




ქაფის გამჩენი უებარი ხელსაწყო. გამოცდილ გამყიდველის ხელში ლუდსაქანს შეუძლიან ააშენოს სახლი, იყიდოს როიალი და სხვა.

საჩივრის წიგნი



ინხარება კოოპსავაქროებში. მომხმარებელთა საჩივრების ჩასაწერად. ინახება—საჩივრის აღძრისათვის მალაზიაში არმყოფ თანამშრომელთან, სულერთა — გამგე იქნება ის, მოლარე, თუ შიკრიკი.

სასწორი



სისწორის საზომი. არასწორად მომუშავე გამყიდველების ზედამხედველია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თით განვითარებულ გამყიდველს ვერაფერს აკლებს.

ცოცხი



ყველაზე ძვირფასი და აუცილებელი საქონელია კოოპსავაქროებისათვის, მაგრამ ბევრ სავაქროში არ იშოვება.

გირი



წონის საზომი. 100 გრამი უდრის ერთ თითის დაკვრას. 300 გრამი—2 თითის დაკვრას და ა. შ. ამის შესახებ დიდ შრომას ამუშავებს თბილისელი გამყიდველი პურიბარიაშვილი.

ხანდეროლი



განსაკუთრებული ნიშანი ამა თუ იმ საქონლის ღირსებისა და თავისებურების აღსანიშნავად ხანდეროლი არსებობს ქალაქის, ლუქის და სხვ. ხანდეროლის საშუალებით შეიძლება ცუდი საქონლის კარგად გასაღება და კარგი საქონლის ცუდად გასაღება. ძნელია, როცა ცუდ საქონელს კარგი ხანდეროლით შემოგატყუებენ, თორემ კარგ საქონელს რანაირი ხანდეროლიც არ უნდა ჰქონდეს — სულერთია. მაგალითისათვის დავასახელებთ სარეწაო არტელ „ალიგატეს“ ღვინოს. ამ ღვინოს რანაირი ხანდეროლიც არ უნდა ჰქონდეს მანც საშუალო ღირსებისა.

შირთხა



კოოპერატიული ცხოველია. დიდად ეხმარება ზოგიერთ გამყიდველს ყალბი საბუთების შედგენაში საქონლის წახდენის შესახებ.

## ჭიოკუერი ცოცხის მორჯულება

ნათქვამია: „ცოლის ლალატს ყველაზე გვიან ქმარი შეიტყობსო“, მაგრამ მიუხედავად ამისა და მიუხედავად იმისა, რომ კარპეზს ღრმად ეძინა, როცა საათმა ღამით ოთხჯერ დაჰკრა, დაინახა რომ მისი ცოლი მარინე მორიდებით ადგა, ფეხსაცმლის ასაღებად ძირს დაიხარა თუ არა. ველარ მოითმინა და ხმამაღლა ყურში ჩასძახა.

- სად მიხვალ შე უსინდისო!...
- გაღაირე კაცო? რა გაღრიალეგს, გაიგებს ვინმე!...
- თუ გაიგე!ს, გაიგოს შენი კაი ქალობა...
- კაცო შენ ხომ არ შეიშალე! მალაზიაში მივდივარ, რიგი უნდა დავიკავო...ქალის ტუფლი მოსულა საქვაჭრობაში.
- რადროს საქვაჭრობა ამ შუალამისას, დაწევი დაიძინე.—სთქვა კარპეზმა და გვერდი იცვალა.
- სად ჯანდაზში დავაგდე ცალი ჩულქი, —ბუტბუტებდა მარინე...
- დაიძინე ქალო, მომასვენე...
- კარპეზის საბედნიეროდ სინათლე ჩაქრა.
- სულ, ერთია წავად!—სთქვა მარინემ. კაბა სიბნელეში ჩაიცვა, ხელში ქოლგა აიღო და კარპეზს მიუბრუნდა:
- ჩამოყაჭე ფული...
- ქალო, რამ გადავრია, სად მიდიხარ, რადროს ფულია?!

- მაღე, თუ არა მოვიდა ქოლგა თავში— არ ეშვებოდა მარინე.
- თავი ღამანებე, მძინავს—სთქვა კარპეზმა და საბანი თავზე წაიხურა.
- მარინემ თვითონ მონახა ფული და კარები გაიხურა.
- რამოდენიმე ხნის შემდეგ მარინე ერთ-ერთ მალაზიის წინ მარტო იდგა. მაგრამ მას მეტად უკვირდა, რომ მასთან ერთად არავინ ათედა ღამეს.
- დილით, მომხმარებლებმა როცა მალაზიასთან დაინახეს სიცილი ასტეხეს.
- შეხედე, შეხედე!...
- რა სასაცილოა ისმოდა ხმები.
- მარინე ძალზე ააღელვა ამ მოულოდნელობამ მაგრამ როცა ტანზე დაიხედა, მიხვდა, რომ კაბა სიბნელეში უკულმა ჩაეცვა.
- უიმე ჩემი სიკვდილი!—წამოიძახა მარინემ ამაზე უფრო მეტი სიცილ-ხარხალი ატყდა.
- დილის 9 საათზე მალაზია გაიღო. გაბრაზებულმა მარინემ ხალხი გააჩვიდა და ნოქარს მიახალა.
- გამომიწერე ორი წყვილი 35 ნომერი ქალის ტუფლი.
- სიცილ ხარხარმა უფრო იმატა...
- მარინემ მაშინ გაიგო სადაც იყო, როცა

- მის წინ ერთ-ერთ მყიდველს ყველი აუწონეს. შედგა მალაზიის კართან და მალაზია აიხედა: „საქკარაქმრეწვი“—ამოიკითხა მან ახლად გაკრულ აბრაზე.
- ბეზაბრაზე! აქ სამი დღის უკან ჩვეულებრივი მალაზია იყო, ეხლა კი „საქკარაქმრეწვი გადმოუტანიათ“! წარმოსთქვა გაბრაზებულმა მარინემ და როგორც გიჟი ისე გამოვარდა გარედ.
- ნახევარი საათის შემდეგ მარინე სახლში იყო.
- კარპეზი ჩვეულებრივ დროს დაბრუნდა სამსახურიდან.
- რა ჰქენი, იყიდე?—ჰკითხა მან ცოლს.
- განა ასე ადვილი საშოვნელია? ტყუილად ვათე ღამე! იცრუა მარინემ
- რა ვიცი, მე კი არც ღამეს ვათე და არც დღეს ვაცდენ, ყოველთვის იოლად ვშონილობ რაც მინდა, —სთქვა კარპეზმა და რაღაც ქალაქში შეხვეული მაგილაზე დასდო.
- კარპეზ! ეს რა მოიტანე?—სთქვა მარინემ და ქალაქში შეხვეული სწრაფად გახსნა. მარინემ ორი წყვილი ქალის ტუფლი ხელში შეათამაშა...
- ამის შემდეგ მარინეს არც უკულმა ჩაუტყვამს კაბა და არც „საქკარაქმრეწვის“ მალაზიის წინ გაუთეგია ღამე.

# საქმე № 29/30

ზოგიერთ ორგანიზაციის თანამშრომლები გულგრილად ეკიდებიან მარტოუფროს საქმეს.  
ზეპირ კრონიკებიდან.

## მ. ძ. მ. ი. № 1

თბილისი, 1938 წლის მარტის 9.

მე, ფასების ინსპექციის თანამშრომელი ისაკო თოფურაძე, რომელმაც დღეს ბაზარში ვიყავი ვნახე შემდეგი:

არტელი „წიწმატგასაღებას“ პ. მკებელი თანამშრომელი ანჯიქო კუტალაძე, დაბადებული 1867 წელს, ბებერი, მამრობითი სქესის კაცი. ყიდდა ტარხუნას. მუშტრები ესიგნენ და მიქონდათ ტარხუნა, რომლებიც იხდიდნენ აბაზს ოც კაპიკს. მე რომელიც შევამოწმე და გამოვართვი ფაქტურა აღმოჩნდა შემდეგი: ტარხუნის ფასი ჩაწერილი ფაქტურაში იყო კონა ცხრამეტი კაპიკი, ხოლო „წიწმატგასაღებას“ თანამშრომელი ანჯიქო კუტალაძე ყიდდა ტარხუნას აბაზით ოც კაპიკათ. ამნაირათ მოქ. კუტალაძე ყოვლად დაუშვებელ დანაშაულს ჩადიოდა და ხურდას არავის უბრუნებდა. მოქ. კუტალაძემ უკვე გაყიდა თხუთმეტი კონა ტარხუნა, რომელშიც ჩამორჩა ხურდას და გაატყავა საბჭოთა მომწარმებელი არის დამნაშავე და ვაჯარიმებ ასი მანეთით. ამასთანავე ერთად აღიძრას შუამდგომლობა არტელ „წიწმატგასაღებას“ გამგეობის წინაშე, რათა ფასების დამახინჯების გამო მოიხსნას თანამდებობიდან მოქ. ანჯიქო კუტალაძე, აეკრძალოს ვაჭრობა და მიეცეს პასუხისმგებლობაში როგორც დანაშაულებრივი დამნაშავე.

ი. თოფურაძე.

## მ. ძ. მ. ი. № 2

თბილისი, 1938 წლის აპრილის 10.

მე ფასების ინსპექციის თანამშრომელი სიკო სეფისკვერაძე, რომელიც მოვახდინე გამოკვლევა მოქ. ანჯიქო კუტალაძის შესახებ საქმეზე პეტრუშკის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გამო. გამოიკვია, რომ მოქ. ანჯიქო კუტალაძემ მართლა გაყიდა პეტრუშკა და მოიპარა ხურდაში რაც ძალიან უკანონოა ითვლება და ამისათვის უნდა მიეცეს პასუხისმგებლობა. რაკი „წიწმატგასაღების“ დირექციამ არ მიიღო ზომები, რომელიც უნდა მოეხსნა და თითონ ჯარიმა არ გადინა ამისათვის საქმე გადაეცეს მი...

ოქმს მისდევს მექანიკურად ჩაკერებული შემდეგი სახის წერილი:

... არ გრცხვენინა შე კაი ქალო მერი? როგორ იქნება მე მომწონხარ შენ კი შორიშორს დარბიხარ და მიბღვერი. მიყვარხარ ხომ არ მეჯავრები რა გაბრაზებს შე კაი ქალო, მე ხომ არ ვატყუილებ ნამდვილად უნდა გითხოვო ცოლათ. რაც შეეხება იმას რომ...

აქ წყდება მიკერებულ ქაღალდზე წარმოებული რომანული ვაჭრობა.

## მ. ძ. მ. ი. № 3

თბილისი, 1938 წლის მაისის 6.

მე ქალაქ თბილისის მილიციის ჩვენი რაიონის თანამშრომელმა ვალიკო ჯაფარიძემ განვიხილე რა საქმე მოქ. ანჯიქო კუტალაძის გამო. სადაც არის, რომ მოქ. კუტალაძე ყიდდა პეტრუშკას და ტარხუნას ზედმეტ ფასებში რის გამოც დაჯარიმებულია ასი მანეთით და რომელი ჯარიმაც არ გადინა ამის გამო გამოვარკვიე და შე-

გამოწმე რის გამოც მივედი ადგილზე და მოქალაქე კუტალაძემ ჯარიმაზე განმიცხადა უარი. იმის გამო აუწერე საქონელი და ვინაიდან არ ეყო თავი დავანებე. ამის გამო ვადგენ ამ ოქმს და საქმე გადაეცეს სასამართლოს.

გ. ჯაფარიძე.

## მ. ძ. მ. ი. № 4

თბილისი, 1938 წლის ივლისის 19.

№ უბნის სასამართლომ განიხილა საქმე მოქ. ანჯიქო კუტალაძისა, რომელიც ზედმეტ ფასებში ყიდდა მწვანელოვობას და ამით არღვევდა ფასების პოლიტიკას, საქმე მოწმეების ჩვენებით დადასტურდა: მოქალაქე კუტალაძეს დაეკისროს ჯარიმის 100 მანეთის გადახდა და ურჩობისათვის პასუხისმგებლობაში მიეცეს. ამასთანავე ერთად მიეკეს პირობითი სასჯელი 1 წლის ვადით და აეკრძალოს სავაჭრო ორგანიზაციებში მუშაობა.

განაჩენი კასაციურია

საქ. უზენაეს სასამართლოს

„წიწმატგასაღების“ თანამშრომლის  
მოქ. ანჯიქო კუტალაძის.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ჩვენი უბნის სასამართლომ გუშინ განიხილა ჩემი საქმე და მომისაჯა უკანონო განაჩენი, რის გამოც ვრივივარ თქვენს წინაშე. იმის გამო რომ მე სულ ვაყიდე ზედმეტ ფასში 15 კონა ტარხუნა რაშიც ავიღე ზედმეტი ფასი კონაში ერთი კაპიკი სულ 15 კაპიკი. და ამის გამო გთხოვთ გაარჩიოთ საქმე.

განმცხადებელი ანჯიქო კუტალაძე.

## მ. ძ. მ. ი. № 5

თბილისი, 1938 წლის აგვისტოს 18.

საქ. უზენაეს სასამართლოს დავალებით მე ჩვენი უფროსის „ნიანგის“ თანამშრომელმა გიორგი მამიჩემისძე მისივე გვარისამ, განვიხილე რა „საქმე“ მოქ. ანჯიქო კუტალაძის შესახებ, ზემოდმოყვანილ ოქმებზე სტილის მიხედვით გამომაქვს შემდეგი დასკვნა:

მოქ. ანჯიქო კუტალაძე, რომელიც ვინაიდან სრულიად დამნაშავეა; მისი დასკვნით გამოდის, რომ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთი არ ყოფილა და მიეცეს პასუხისმგებლობაში რადგან შეიძლება მერე დაწინაურდეს და აბაზან საქონლის მაგიერ ჰქონდეს 100 მანეთიანი საქონელი და როცა აქლემი ეყოლება მოსაპარავი აქლემსაც მოიპარავს და სხვა. აგრეთვე გადახდეს მთელი ხარჯი რის გამოც ფასების ინსპექცია, მილიცია და სასამართლო გააცდინა უპატიოსნო ვაჭრობით.

გ. ივანიშვილი.





# საჩივრის წიგნი ჩქარა



ეროვნული  
კულტურული

ქუჩა. მოსჩანს სვეტოვო წყობი წარწერით. დასაქმებულნი ტანდათმარაღებისა და სხვა სახის მანქანების მოწყობის უწყისელები. შემოდის ქა- ლიშვილი პატეფონის ფირფიტებით ხელში, შემოსდეს ვაჟი.)

ვაჟი: უკაცრავად!  
ქალიშვილი: აჰ! რა ზრდანეთ?  
ვაჟი: არაფერი... ეს... მე, ისე... ჩემთვის...  
ქალიშვილი: უცნაური ჩვეულება გქონიათ!  
ვაჟი: ეს ჩვეულება, მე შთამომავლობით მაქვს. მე მამაც ასეთი მყავს...

ქალიშვილი: ახ! თქვენ მამაც კვავთ?  
ვაჟი: როგორ არა, მამის გარდა, ბიძებიც მყავს, ბიძოლებიც, თქვენ არ დაიჯერებთ და მე ბებიაც მყავს.

ქალიშვილი: ნუ თუ! თქვენ წარმოიდგი- ნეთ მცდე მყავს ბებია.

ვაჟი: რას მელაპარაკებთ! მამა ნათესავე- ბი ვყოფილვართ!

(ხელს გაუწოდებს) თქვენი სახელი?

ქალიშვილი: ციცო!

ვაჟი: ახ! რამშენიერი სახელია! ეს რა ფირფიტებია?

ქალიშვილი: კარიკა, ნანა და ჯახი!

ვაჟი: სად იყიდეთ?

ქალიშვილი: უნივერსიტეტში!

ვაჟი: არის კიდევ?

ქალიშვილი: რამდენიც გნებავთ... უკაცრავად მე ამ მაღაზიაში მოლარე მყავს ამხანაგი, ამ ფირფიტებს ვაჩვენებ და მალე გამოვალ, დაიციდით?

ვაჟი: სიამოვნებით!

ქალიშვილი: მამ კარგი, მალე გამოვალ (შედი) მაღაზიაში. შემოდის, დედაბერი)

დედაბერი: უცდით?

ვაჟი: დიახ!

დედაბერი: მე თქვენს შემდეგ ვიქნები. რას იძლევიან თუ იცით შვილო?

ვაჟი: არაფერს!

დედაბერი: მამ რატომ დგებართ?

ვაჟი: საოცარი ხალხია.

დედაბერი: ახალგაზრდა კაცი ხართ შეი- ცდით და ტყუილი არ გეკადრება, მამ ის რა არის საქონელს რომ ალაგებენ?

ვაჟი: მაღაზიის აღწერაა.

დედაბერი: აღწერა კი არა საქონელი მი- უღიანთ, ჰმ! ჯერ თვითონ გაინაწილებენ, რაც კარგი ფირფიტებია და უფარვის ჩვენთვის იხაზვენ.

ვაჟი: რა ფირფიტა? რის განაწილება?

დედაბერი: პატეფონის ფირფიტა, ხომ ხედავ იმ ქალიშვილს, რომ ამოუჩივია თავი- სთვის.

(შემორბის მეზობელი)

მეზობელი - პატეფონის პლასტიკები ნეტა „სულბოკა“ არის ქალო?

დედაბერი: დადექი რიგში! (შემოდის მთვრალი კაცი)

მთვრალი: (მღერის) საყვარლის საფლავს ქეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო... დილაგოი ნანა, დილაგოი ნანა...

ნება მიბოძეთ რიგში ჩავდგე.

დედაბერი: თქვენ ამის შემდეგ იქნებით!

მთვრალი: აქ რისი რიგია კუკლაჯან?

დედაბერი: ლუდის!

მთვრალი: მე ლუდი ძალიან მიყვარს, ამი- ტომ ლუდისათვის რიგში დგომა ნეტარებაა ჩემთვის...

(კარებს აწვევა) მალე გახსენით ბოჭკა ეი!...

დედაბერი: ფუ! ღვინის სუნი გიღით.

მთვრალი: ეს მიტომ, რომ „პიენონში“ ვიყავი, კუკლაჯან! აბა! შენ ეი, სად მოძვრე- ბი, დადექი ჩემს უკან...

ვაჟი: ხალხო! რით ვერ გაიგეთ, რომ აქ არაფერს ყიდიან!

დედაბერი: უკაცრავად თქვენთან, თქვენ გნებავთ ჩვენ წავიდეთ და თქვენ მიიღოთ ყვე- ლაფერი, ვერ ეღირსებით!

მთვრალი: უკაცრავად. აქ მართლა გრამა- ფონების რიგია?...

დედაბერი: ვინ არის გრამაფონი!

მთვრალი: შენ არა, კუკლაჯან! (მღერის) დილაგოი ნანა...

მოქალაქე: რა დილაგოი ამხანაგო?

მთვრალი: პატეფონის დილაგოი!

მოქალაქე: ნემსებიც აქვთ თუ იცით?

მთვრალი: გაციებს?

მოქალაქე: რას ამბობ კაცი შენ?

მთვრალი: ნემსებს ამბულატორიაში აკე- თებენ... მთვრალი კაცი, კაი კაცი... დილაგოი ნანა, დილაგოი ნანა... რას მიყურებ, ვერ მიცანი? დილაგოი ნანა, დილაგოი ნანა...

ვაჟი: (ვიტრინაში ქალიშვილს ხელით ანი- შნებს)

დედაბერი: ხედავთ ხალხო? ხელს უქნევს. ასე ყველას შეუძლია ხელი დაუჭნოს: ნაცნობ ნოქარს და კარგი საქონელი თავისთვის შეა- ნახვინოს!

(შემორბის ფოსტალიონი)

ფოსტალიონი: რისი რიგია?

დედაბერი: პატეფონის ფირფიტების.

ხმები: არ გაუშვით!

მთვრალი: (მანდილოსანს) შენ სად დგე- ხარ კუკლაჯან?

მანდილოსანი: აი (დედაბერზე ათითებს) იმ ქალის უკან, ძველი შლიაბა, რომ ხურავს.

დედაბერი: (განაჩხლებული) ვის ახურავს ძველი შლიაბა. შე თითონ მეძველე, დამსგავ- სებხარ ტროლეიბუს!

მანდილოსანი: ტროლეიბუსი ჩემს... მთვრალი: (მღერის) დილაგოი ნანა, დი- ლაგოი ნანა... რამია საქმე, რომ არ ვვიშვებენ მაღაზიაში (არახუნებს კარებს) გააღეთ!

(გამოდის ქალიშვილი)

ქალიშვილი: წავიდეთ!...

ვაჟი: წავიდეთ...

ქალიშვილი: ეს რა ხალხს მოუყრია თავი?

დედაბერი: ვითომ არ იცი? ხალხო შეხე- დეთ ნაცნობობით გამოუტანია ფირფიტები არ გაუშვით...

(ქალვაჟი გარბიან. გამოდის გამგე)

გამგე: მოქალაქენო რამია საქმე?

მთვრალი: დილაგოი ნანა... რი ცალი დი- ლაგოი ნანა!...

გამგე: რის ნანა, და რა დილაგოი!

დედაბერი: იმ ქალიშვილს, რომ გაატანეთ.

გამგე: დედობილო, აქ გასტრონომიულია პატეფონის ფირფიტებს აქ რა უნდა? დავამ- თავრებ აღწერას და მოზრძანდით ხვალ. მიი- რთვით ძეხვი, ერბო, კარაქი, ყველი, სარდი- ნკა...

დედაბერი: არ დაიშალოთ (ხალხო) ამდე- ნი ხანია რიგში ვდგევართ, ამდენი ხალხის აბუჩად აგდება გავგონილა?

მთვრალი: მიდი, მიდი კუკლაჯან, არ და- ინდო!... დილაგოი ნანა, დილაგოი ნანა...

დედაბერი: ჩქარა პატეფონის ფირფიტე- ბი იყვირეთ ხალხო (ატყდება ალიაქოთი. მა- ლაზის კარებს შეამტვრევენ და შეცვივდები- ან ყვირილით.)

ხმები: ხალხო ნელა, ორსული ქალი ნუ გატყულებთ (შემორბის მილიციელი)

გამგე: (ქანც გამოლუგული) ამხანაგებო, მეგობრებო, დებო, ძმებო, გაიგეთ რომ აქ პატეფონის ფირფიტებით არ ვვაჭრობთ.

მთვრალი: აჰ! რაო! ამხანაგო მილიციო- ნერო მე გამგეს ვეკითხები, რა უფლების ძა- ლით გამოჩერა მე ამდენხანს რიგში, თუ მაგას „დილაგოი ნანა“ არ ქონდა. მე მოვიტხოვ საჩივრის წიგნს.

ხმები: საჩივრის წიგნი ჩქარა!

ნოქარი: ამხანაგებო საჩივრის წიგნი! მო- ლარეს წაჭყოლია სახლში...

მის. გოგიაშვილი.


## განმეორება

ჩვენი ჟურნალის მე-10 ნომერში მოთავე- სებული მასალა სათაურით: „გულმოდრულად მოსამართლე“ რომელიც ეხებოდა ქიათურის სახ. მოსამართლეს აშხ. ვ. კაპანაძეს—არ და- დასტურდა.

ჩვენი ჟურნალის წ./წ. № 21-22 მოთავსე- ბული მასალა სათაურით: „კაცი, რომელიც დააბეს“, რომელიც ეხებოდა აშხ. ამბროსი გვენეტაძეს (ტყუბული)—არ დადასტურდა.

შორაპანი ვინ არ იცის,  
სადგურია დღეს მოზრდილი,  
ბუფეტში აქვს, უნდა რიქვას —  
კულტურულად მოწყობილი.  
ერთი სიტყვით ქების მეტი  
არა ეთქმის კაცის ენას:  
ჯაზ-ორკესტრის ხმებიც ატკობს  
მოსადილე მგზავრთა სმენას.  
მაგრამ მაინც, თქვენ აქ ნახავეთ-  
ზოგ შემთხვევას დასაძრახავს;  
საჯდომ სკამებს საკმარისად  
კაცის თვალი იქ ვერ ნახავს.  
არის დავა და ლოდინი  
აქ სკამისთვის დღით თუ ღამით,  
ზოგჯერ ნატვრად გახდომია —  
მგზავრს დაჯდომა ორი წამით.  
მატარებლის მოსვლის დროსა  
სკამზე დავა ორკეცდება.  
და მგზავრების მეტი წილი  
უსადილოდ ფეხზე რჩება.  
სამარილევ მაგიდებზე  
სანთლით არის საქებარი,  
მგზავრებს ესეც გახდომიათ  
ერთმანეთის სახვეწარი.  
„სოიუზპეჩატს“ შორაპანისთვის  
რალაც წყრომით შეუხედავს,  
და კიოსკის აქ მოწყობა  
დღემდე მას ვერ გაუბედავს.

მასხარა



— რა ამბავია ერთ გამხმარ წიწილაში 30 მანეთი?  
— ესეც ცოტაა, მაგ თანხის ერბო დავხარჯეთ მაგის გასუქებაზე.

## უწყინარი ბალღინჯო და თავაზიანი გამსილაბელი

როგორც იყო, ორი დღით ადრე ავიღე ბათუმის ქალაქის სადგურიდან ბილეთი.

— მატარებელი როდის გადის? — ვეკითხები მოლარეს.

— ცხრის ნახევარზე ბატონო — იყო პასუხი. რალა მიჭირს, თავს უზრუნველყოფილად ვგრძნობ... მაგრამ არ შეგუბამოთ ჭირომა, თურმე განრიგი წინა დღით შეცვლილა, მატარებელი გადის შვიდის ნახევარზე და ეს ამბავი შემთხვევით ზღვაზე ბანაობის დროს რომ არ გამეგო, თქვენი მტერია, მე საქმე დამემართებოდა, მაგრამ არა უშავს რა, ეხლა უკვე გზაში ვარ... რა მიჭირს, ქრის ზღვიდან გრილი და საამური ნიაფი. აგერ ლოგინიც გაშალა გამცილებელმა... კაი დაგემართოს, კაი იყოს კეთილი ცხოვრება. მივწევი, არ მეძინება. ისეც გახეთი გავშალე, მაგრამ ვაი ასეთ კითხვას! როგორც კი ცინისძირს მიუახლოვდა მატარებელი — ვხედავ, ბალღინჯოების ლაშქარი შემომსევია. არ ვიცი, რალა ამ სადგურზე იჩინეს თავი, ალბად სტრატეგიულ ადგილად იცნეს და იმიტომ წათამამდენ.

დაუძახე მატარებლის გამცილებელს და შევჩვილე ჩემი გაჭირვება. ის ზრდილობიანი გამოდგა, მოიბოდიშა და თანაც ასე მანუგეშა: — ეს არაფერია ბატონო, უნდა როგორმე მოითმინოთ.

— კი, მაგრამ როგორ შე დალოცვილო, გათენებამდე ხომ გაათავეს კაცი!

— არა ბატონო, ესენი სულ უწყინარი ბალღინჯოებია... ეს თქვენი ლოგინი, წუხელ ერთ მსუქან მოქალაქეს ეგო და იმას მიაძღენ... თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ. იძინეთ, თქვენ ხელს არ გახლებენ.

— კარგი, მაგრამ თუ ასე დანაყრებულნი არიან შე დალოცვილო, ჩემგან რალა უნდათ რას დაბორიალობენ ამ ზეწარზედ?


— სახელით ემზადებიან ბატონო, მანევრებს აკეთებენ!

— როგორ მანევრებს?! მე სერიოზულად ვეკითხები და შენ მასხარად მიგდებ?!  
— რა გაჯავრებს დალოცვილო! კაცი ლომგული მგონიხარ და ბალღინჯოებმა შეგაშინეს? ისე არაა შენი მტერი, შენ არაფერში გამოადგე ჩვენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს!

— ბალღინჯოებს ვინ ჩივის კაცო, აქ ეტუობა ლებიც მკბენარებით იქნება სავსე!

— არა ბატონო, მკბენარებთან დროებით ზავი გვაქვს დადებულნი, ისინი ნოემბრის ბოლომდე არ შეგვაწუხებენ... ეს არის მხოლოდ, ეხლა ცოტა ბალღინჯოები გვირღვევენ წესრიგს, მარა რა გაეწყობა, — ცოტა თქვენც ქეუნდა მოითმინოთ დალოცვილო! — ასეთი თავაზიანი სიტყვით გამშორდა ჩემი ნუგეშის მცემელი.

იოანა.



ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი მივიდა „თბილვაჭრობის“ დირექტორ რინენბერგთან და ასეთი საუბარი გაიმართა მათ შორის:

— გეგმის შესრულებაში, როგორ წარმატებებს მიაღწიეთ წარსულ რვა თვის განმავლობაში?

— სულ მცირეს, — სიტყვა დირექტორმა — ჯერჯერობით ცამეტნახევარი მილიონის გარღვევა გვაქვს.

— მერე რას ფიქრობთ ამაზე?

— ეხლა ნამეტანი სიციხეებია ამხანაგო. როცა სიგრილეს დაიქვრს მაგაზე მერე ვიფიქრებ.

— აქ მოთხრეს, თითქოს თქვენ ხშირად არ ცხადდებოდეთ სამსახურში!

— პროვოკაციაა! მე როცა მინდა ყოველთვის დავდივარ სამსახურში.

— ამასაც მოვკარი ყური, თითქოს ათ ამ თვეს მთელი დღით დაიკარგეთ და თანამშრომლებმა ვერსად გიპოვნეს!

— არ მახსოვს ასეთი რამ... თუმცა იყო ერთი შემთხვევა: მესტუმრენ ცოლის ამხანაგები და ვეღარ მივატოვე. თქვენ არ იცნობთ იულია მოსეს ასულს? არა?! ო, რა ჩინებული გოგონაა! ისე ცეკვავს ტანგოს, ჩარლსტონს, რუმბას... თქვენ ხომ არა ხართ ცეკვის მოყვარული? არა? მაშ თქვენთვის არ იქნება ეს საუბარი საინტერესო...

— თუ შეიძლება ეს მიბრძანეთ რად არ გამოცხადდით გუშინ თქვენს მიერ დანიშნულ თათბირზე?

— სრულიად საპატიო მიზეზით.

— როგორ?

— ბალში ვიყავი წასული ლეღვის საჭმელად და დამავიწყდა... თქვენ არ ვიყვართ ლეღვი?

— როგორ არა. მიყვარს, მაგრამ... ის მითხარით, როგორ იბრძვით მტაცებლობისა და გამფლანგველების აღმოსაფხვრელად სავაჭრო წერტილებში?

— კონტროლისა და რევიზიის შემცირებით... თქვენ გეცინებათ, მაგრამ ეს ასეა. როგორც კი მოვსპეთ რევიზიები მას შემდეგ აღარ მსმენია ვისმეს რამე გაფლანგოს.

ჯაჟაჩო.



— ეგ რა მოგხვლია, ჩხუბში ხომ არ მოხვდი კოსტუმში რომ ჩამოუხვევიათ?

— არა! უნივერსალში საკოსტუმე ვიყიდე და ძველი იქვე შემომანხიეს.

## ცხელ-ცხელი ამბები

### ჩამპიონი

ს. ჩალაუბნის (გურჯაანის რაიონი) სკოლის მასწავლებელმა დ. ბურჯულაძემ გუშინ ამავე სოფლის კოოპერატივში მუშტიკრივი გამართა, ნოქარს ორი კბილი ჩაუმტვრია და საბოლოოდ დაიმკვიდრა „აყალ-მაყალის“ ჩემპიონობა.

იხარი.

### უვადო შეგზულება

სოფ. ფახულანის (წალენჯიხის რაიონი) სექციმა პუნქტის ექ თანაშემწე პაშა არქანიამ სამუშაო დღის „უდიდეს ნაწილს“ — (ნახევარ საათს) ანდომებს ავადმყოფთა მომსახურებას, დანარჩენ დროს კი ისვენებს ენერჯის აღსადგენად. მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ უვადო შეგზულება მისცენ და საცხებით დაასვენონ „მძიმე შრომით გადაქანცული“ არქანია.

ნებტუნია.

### სადღებრკელი

ზეტაფონის რაიონის ს. ალავერდის კოლმეურნეობის თავ-რე შ. ბუბრაშვილმა მუშაობის ასპარეზი ოქროპირე სარალაძის ჭურ-მარანში გადაიტანა, საიდგანაც სამუშაოზედ გააუღო კოლმეურნეებს „აბა ბიჭებო“-ს შეძახილებით ართობს, თვითნებულ მათგანის სადღებრკელს ყანწებთ ყლანწავს და „გადახუხვის“ გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

გ. ქაღელი.

### უიმიდო სიყვარული

უიმიდო სიყვარულით გულდამდღღრული, ხაშურის რაიონის ბრეთის სოფ. საბჭოს თავ-რე თედიაშვილი თავის ცოლსა და ხუთ შვილს ხელ-კეტით დაფრია: „სულ თქვენი ბრალია, რომ ასე უდროვოდ დაგებრდი და სიყვარულის შანსები აღარ გამიღისო“.

იხარი.

### სულ ძილი... ძილი

აბაშის რაიონის ს. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავ-რე ჭანტურის ერთი წლის წინათ ამორჩევისთანავე უმანკოთ ჩაეძინა!.. ამბობენ კიდევ მრავალს იძინებს თუ რაი მიწვანმა არ გააღვიძაო.

ფხიშელი.

### მოჭიდავეთა წრი

სოფ. გეზათის (აბაშის რაიონი) სამკითხველოში ჩამოყალიბდა მოჭიდავეთა წრი, სადაც გაერთიანებულია 21 ახალგაზრდა და 3 ბებერი თხა.

პირველი ჭიდაობა სამკითხველოს გამგის ხელმძღვანელობით ჩატარდა წარსულ ორშაბათს. სადაც პირველობა დაიკავა სამკითხველოს გამგის თბამ „ვასკამ“.

მაურტებელი.

### გაღლოვა

ქუთაისის საბჭოს კომუნალური განყოფილების უფროსმა ი. მგალობლიშვილმა ქალაქის ქუჩების შეკეთების გეგმა 0,04% შესრულა და დაზარალებულ მოფერებისაგან „დიდი მადლობა“ მიიღო.

### საგზურები და ქრება

გორის სასამართლო-პროკურატურის ადგილკომის თავ-რე პ. გურგენიძემ, რომელმაც საგზურების განაწილების გამო მოიწვია ადგილკომის სხდომა, რიხით განაცხადა, რომ ღმერთს ევედრეთ ხშირად მოგვდიოდეს საგზურები, თორემ ეს წელი ისე გადის, რომ ერთი კრებაც არ მოიწვევიაო.

არიო და ბაჩია.

### უშვარი წამალი

ქვემო ჭალადიდის (ფოთის რაიონი) ექიმბაშმა დესპინე არჩაიამ განცხადება შეიტანა სოფსაბჭოში, რომ ვინაიდან წითელი აგურა, რომელიც საუკბოვო ფერს აძლევს ჩემს მიერ დამზადებულ უებარ წამლებს, ახლოპახლო აღარსად იშოვება და მისი მოტანა მისდებოდა ძალიან შორი მანძილიდან, ამიტომ ნება მომეცით მცხოვრებლებს ბოთლ წაქალში დღეიდან 30 მანეთის ნაცვლად 50 მანეთი გზადევიწივო.

სკვანჩი.



### რკინიგზის ზოგირათსალგურზე

— ამხანაგო უფროსო, ეს ხილი მთლად ჩაღებება ვაგონში თუ მისი ვაგზავნა არ დავაჩქარეთ.  
 — არაყად ხომ გამოდგება და მით უკეთესი.

# ტბილგასაკრავი ამბები



## ღამით კი ტბილად ქეიფობს

(სოფ. ჟელტცეული გორის რ.)

კოლხერატივში ნიანგო  
ნოქრად გვყავს პაპიაშვილი.  
ნაცნობებ მეგობრებისთვის  
უბნია ხელეც გაშლილი.

საქონელს ველარ ვნახულობთ  
ჩუმად აქვს გადანახული,  
ღამით კი ტბილად ქეიფობს  
„სვირით“ და „კარდანახულით“.

კუსა.

## ვაზრობა ბაღში

(ქუთაისი)

წიანგოჯან, გაპკარ კბილი,  
ათქმევიანე მართალი,



ბაღში ჩუმად მოვაჭრეებს  
საიდან აქვთ ფართალი?

მანაშვილი

## ვერის ბაზარი

(თბილისი)

თუმცა ბაზარს ეტანება:  
იხვი, ბატი, თხა და კრავი,  
—აქ წვიმის დროს დაიღრჩობით,  
თუ არ მოგდევთ გვერდით ნავი...  
ჯავრობ: ზოგჯერ გამყიდველი,  
სასწიარს თითით, რომ არ აცლის;  
როდღი შესულს „მოყმე ვინმე“  
ფულს ჯიბიდან ამოგაცლის.

კაული

## ოდელა, დელა დელია!

მოლითის რკ. გზის სადგურის მო-  
ლარე, ბაგრატი ფცქალ. მე მგზავ-  
რებს უხეზად ექცევა და კუთვნილ  
ხურდას უკან არ უბრუნებს.

მოლარეთა ვარ ბაგრატი  
ბილეთის გამყიდველია,  
ხალტურობაში გაქნილი,  
როგორც მსუნაგი მელია.

მგზავრიცა მიყვარს ისეთი  
ვისაც აქვს ჯიბე სქელია,  
რომ „ქაფი“ გავკრა გემოზე  
ბიჭი ვარ ძველის ძველია!

თუ ვინმე რამეს გაბედავს  
შეუბღვერ, როგორც მგელია,  
და ჩემს გემოზე ვლიდინებ  
ოდელა, დელა დელია!...

პავო

## ატარებენ ფიჯაულტურას

(სოფ. ყანდაური, გურჯაანის რ. ლენინის  
სახ. კ-ბა).

ბულალტერად გიორგი გვყავს  
გვარი მისი ხაზიური,  
სმა ჭამა და ქეიფობა  
რა ქნას უყვარს აზიური.

თავისუფლად სეირნობას  
იგი აწერს მის კულტურას,  
კანტორაში, თავგები კი  
ატარებენ ფიჯკულტურას.

კვანტი

## ქეიფი — ვედაგობი

(გუდამაყარი. დუშეთის რაიონი)

ეს, ნიანგო, ჩვენს საბჭოში  
ექიმი გვყავს ქალი—ქეთო.  
ექიმობა არ ვაკმარეთ  
მასწავლებლად დავნიშნეთო.

რუსულ გრამატიკაშია  
„გამოცდილი“ პედაგოგი.  
მოწაფეებს ასე უხსნის  
„ენტო გლაზა, ენტო ნოგი“...

წყალს მაღიმად გადაყლაპავს.  
გვერდზედ უდგას საესე „შტოფი“.  
ჯანაპუნქტთან კი სალამომდე  
უცდის, კვენესის ავადმყოფი.

გ. ბეჭაური.

## ლექციის დროს

(თბილისი)

პუშკინს სახ. თბილისის სამასწ.  
ინსტიტუტის აუდიტორიებში მაგ.  
რდების და სკამების რაოდენობა  
არასაკმარისია

ინსტიტუტში ბლომადა გვაქვს  
მაგიდა და სკამი  
ლექციის დროს ერთ სკამზე ზის  
აქ სტუდენტი სამი.



წერის დროს კი იატაკზე  
წვება ქეთო, ზინა  
ამ საკითხში მთელ თბილისში  
ვართ ყველაზე წინა.

რაჭველი

## ვატაკი მუხუზრადან

მუხურის გაღმა უბანში  
კოლდუქანი არისო,  
შიგ ნოქრად ალექსანდრეა,  
ბოჭორიშვილის გვარისო.

მას ვეკითხები—კითხვაზე  
თუ მიპასუხა მართალი:  
ვის შეუნახა მალულად  
ორმოცი მეტრი ფართალი?

ანძროხეთისა უბანში  
გვაქვს—თორნე—პურის საცხოში  
(თუმცა ვერ ვიტყვი—თორნეა  
იგი, თუ ფქვილის საწყობი).

კვირაში ორ დღეს ღიაა  
და ხუთ დღეს გამოკეტული  
თავს არ იწუხებს მცხოველი...  
სჯობს აქ დაუსვად წერტილი.

ა. მუხუზრელი.



გამიგონია, რომ ღედამიწაზე, სხვადასხვა მხარეში—სხვადასხვაფერი ბუნება, სხვადასხვანაირი პაერი. მაგალითად აფრიკაში რომ სიცხე-პაპანაქებაა, არქტიკაში 60 გრადუსი ყინვაა. ხდება ასეც, რომ ერთ ქვეყანაში ადრე ღდება ზაფხული, მეორეში გვიან. მაგრამ მე, პირადად, ამხანაგო ნიანგო, არსად გამიგონია, რომ ერთ ქალაქში, თუ გუნებათ ისეთ მოზრდილ ქალაქშიაც კი-როგორც თბილისია, ბუნების ისეთი უთანაბრობა იყოს, რომ ერთ რაიონში ივლისი გახლდეთ და მეორეში ოქტომბერი. აქ სასაცილო არაფერია ამხანაგო ნიანგო, მტკვარის გაღმა ამეამად საზაფხულო ბაზრობა ტარდება, ხოლო მტკვარის გამოღმა საშემოდგომო ბაზრობა. ერთი რამ მაინტერესებს ამხ. ნიანგო: რატომ არის, რომ ზოგიერთ ხალხზე ზაფხულის სიცხე ცუდად მოქმედობს?

მომხმარებელს



„ლირიკული“ უიქაბი

„ინვალიდი“ გამყიდველი: ვაჰ, მაშ ელუას სეფა მოერევა; მე და ელუა რო ვკვიდობთ ხუთმეტი ნიმუტს მიძლებს და სეფა რას უზამს.

საკვირველია

- პირდაპირ საკვირველი.
- რა საკვირველი?
- რა და ამ შალვა შველიძის მოქმედება.
- ვინაა შალვა შველიძე?
- ვინაა და ძირულის სრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
- მერე საკვირველია, რომ ის სასწავლო ნაწილის გამგეა?
- ეგ არ მიკვირს.
- მაშ რა?
- ის, რომ მან ცილი დასწამა და სამუშაოდან მოახსნევინა მასწავლებელი პრამონ ბიწაძე.
- მერე?
- მერე ბიწაძემ რამოდენიმე თვე გააცდინა, შემდეგ აღადგინეს, როგორც უდანაშაულო, განაცდური აუნაზღაურეს.
- მერე?
- მერე შველიძემ კომკავშირელ მოწაფეებს შალვა გველესიანს და ვასილ სოფრომაძესაც დასწამა ცილი.
- მერე?
- ისინიც მოახსნევინა, კ. კავშირიდანაც გაარიცხვინა.
- მერე?
- მერე მათი უდანაშაულობაც დამტკიცდა ისინიც აღადგინეს.
- მერე?
- ის, რომ ასეთი ინტრიგებისათვის შველიძეს პასუხი არავინ მოსთხოვა.
- მერე?
- მერე და მერე..

ალი.

შენს იხარა მეს მახარა

(გამგე თავის ნოძარს)

გადმალე, გადმომალე, იქაც შესწვდი მაღლა თაროს, შენც, იხარე, მეც მახარე, შენი ჭირი შემეყაროს;

შევარცხვინე, ვინც თავისკენ სასწორი ვერ გადმოხაროს: თავის გამგეს ვერ აამებს, და თავისთვის დახლიდარობს!

მომხმარებელს რას უყურებ, იღვეს რიგში, ოფლი ღვაროს, შენც იხარე, მეც მახარე, შენი ჭირი შემეყაროს!

ენს სოფელი ასეთია, ერთს თუ უჭირს, ასი ხარობს; ამომიდეგ გვერდში ძმურად არ დამიშრო შვეების წყარო!

ვინ გაგვიგებს, გულის ვარდი „რძის“ ქაფით რომ ვავახაროთ, შენც იხარე, მეც მახარე შენი ჭირი შემეყაროს?

იონჯა.

ნაჩილი გუჯას

პირშავო გურქ! შენმა საქცელმა შენი თავი „გლავშერსტის“ მაღაზიის უნესრიგობას-ავით შეგვაჯავრა. ბიჭო! შე ნამუშიდან, ქვევრივით გარეცხილო, შე, ზოგიერთი მეღვინეთა ამხანაგობების იარლიკივით ფლიდო და მატყუარავ ეგ უნდა გექნა? რატომ არ ჩამოდიხარ? ცოლშვილს ტაქსივით რომ ემალეები ხომ იცი რომ ვერსად წახვალ? შენს პატარა ბიჭიკოს რჩენა არ უნდა? ბუნებას ესთხოვ ისე გამქრალიყავ, როგორც სამტრესტის 8 ნომერი ღვინოა ბაზრიდან გამქრალი და გადაკარგული.

ვერ ნახე კარგი! მარა ცოლშვილის მიტოვებისათვის მთელს შენს სიცოცხლეში ისე გაწყალდი, როგორც ქალაქ ორჯონიკიძედან ჩამოტანილი ლუდი თბილისელი ვაჟიკელების ხელში წყალდება.

შე, კოოპერატივებში მოტანილ კვერცხივით გალაყებულო, როდემდის დაიმალები? სადაც არ უნდა წახვიდე, ხომ იცო, რომ მაინც მოგაგნებთ.

თილიყამყამი.



საბურავის „მხიარული სეირნობა“ ჩინეთში

პ/შგ. რედაქტორი ი. ბ. სომხარიძე. კოლეგიის წევრები: ს. ბაჩიანი, ი. შაველი, ირ. აბაშიძე და ლ. გულაშვილი.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5 ტელეფონის № 3-74-67. „კომუნისტის“ სტამბა კამოს ქ. № 68.

გადაეცა წარმოებას 14/IX ხელმოწერილია დასმბეკლათ 8/Х 88 წ. შეკვეთის № 910 მთავლიტის რწმუნებული № 3747 ტირაჟი 15000.